დასკვნა:**დ05. 3726264001**

თარიღი:**21/09/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

კომისიამ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იმსჯელა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებზე, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებთან შესაბამისობაზე, რეგულირების მიზანსა და საკრებულოს მიერ საკითხის განხილვისათვის დადგენილი პროცედურების დაცვაზე.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით განხორციელდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ დადგენილების პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი